პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 178 (4688)

1972 წ. 8 სექტემბერი, პარასკევი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

# ასპარეზობა გრძელდება!

მიუნხენი, 6 სექტემბერი. როგორც ცნობილია, ოლიმპიურ სოფელში და მიუნხენის მახლობლად მდებარე სამხედრო აეროდრომზე მომხდარი ტრაგიკული ინციდენტების გამო, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა, ოლიმპიადა ერთი დღეღამით შეწყდა. მისი პროგრამა შესაბამისად ერთი დღით გადასწიეს: დღეს საღამოს განახლდა შეჯიბრებები, რომლებიც წინადღით ამ დროს უნდა ჩატარებულიყო.

მთავარი ოლიმპიური სტადიონი და შვიდი დარბაზი, სადაც საასპარეზოდ გამოვიდნენ ოლიმპიელები, ისევ პირთამდე აავსო მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა.

თუ საბჭოთა სპრინტერმა ვ. ბორზოვმა დაამტკიცა, რომ იგი ოლიმპიადის ყველაზე სწრაფი მონაწილეა, 30 წლის სამთო ინჟინერმა ქალაქ შახტიდან ვ. ალექსეევმა არავის დაუტოვა ეჭვი იმის თაობაზე, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე ღონიერ ადამიანად რჩება: „მესე-ჰალეში" მოიგო ზემძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრება შესანიშნავი შედეგით სამჭიდში — 640 კგ (235+175+230). ვასილ ალექსეევს ბევრად ჩამორჩნენ საპატიო კვარცხლბეკის მომდევნო საფეხურებზე მდგარი ათლეტები — დასავლეთგერმანელი რუდოლფ მანგი (610 — 225+170+215) და გდრ-ის ახალგაზრდა ძალოსანი გერდ ბონკი (572,5 — 200+155+217,5).

ალექსეევ — მანგის ორთაბრძოლის პრელუდია დიდი ხანია დაიწყო, მას შემდეგ, რაც ისინი შარშან სოფიის ფიცარნაგზე შეხვდნენ ერთმანეთს ევროპის პირველობაში. მიუნხენის სარბიელზე ამ ორი ათლეტის გამოსვლამდე დიდი „მითქმა-მოთქმა" იყო და ბრონზოვების კორიანტელიც დადგა. დასავლეთგერმანული გაზეთები მანგის თითქმის ყოველ ნაბიჯზე ბეჭდავდნენ ცნობებს და იტყობინებოდნენ, ეს ნიჭიერი ძალოსანი გულდაგულ ემზადება ალექსეევთან ახალი ბრძოლისთვისო.

და აი, ეს დღეც დადგა. დილით მარიენპლაცზე — ქორვაჭრების მოღვაწეობის „სარბიელზე" — ძალოსანთა შეჯიბრების ბილეთები ორმაგ ფასად იყიდებოდა.

ამავე დროს, არ შეიძლებოდა ალექსეევის სხვა მეტოქეთა ჩამოწერაც. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ამერიკელ გ. პატერს, რომელმაც მიუნხენში ჩამოსვლის წინ ძალოსნობის ისტორიაში მეორე ჯამი დააგროვა სამჭიდში — 635 კგ. ეს თავისებური ფსიქოლოგიური შეტევა იყო. მაგრამ „საშინაო" კილოგრამების სოლიდური სიმძიმე პატერმა ოლიმპიურ ფიცარნაგზე ვერაფრით დაამტკიცა: ნული მიიღო ატაცში და მხოლოდ 212,5 კილოგრამის აჭიმვა შეძლო.

მაყურებელთა შორის კიდევ უფრო ადრე დაიკავა ადგილი ბრიუსელელმა ბიბლიოთეკარმა ს. რედინგმა, რომელიც აჭიმვაში საწყის წონას ვერ მოერია. ეს საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში ბელგიელი ათლეტის პირველი ნული როდი გახლავთ. მან განაცხადა, რომ სპორტისთვის თავის დანებებას აპირებს და პოლიტიკაში სურს სცადოს ბედი: გადაწყვიტა მორიგ საპარლამენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოაყენოს.

ასეა თუ ისე, „დიალოგი": ალექსეევი — მანგი არ გამოვიდა. ამაში, ცხადია, პირველი „დამნაშავეა" საბჭოთა გოლიათი, რომელმაც ღირსეულად განაგრძო თანამემამულე ათლეტების ი. ვლასოვისა და ლ. ჟაბოტინსკის ოლიმპიური ესტაფეტა.

და მაინც, საბჭოთა ძალოსნების 3 ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მათთვის აშკარად შეუფერებელი, პატარა ნადავლია.

მეოთხედფინალური ორთაბრძოლების შემდეგ საბჭოთა მოკრივეები ბ. ზორიკტუევი, ვ. სოლომინი და ა. ხოხლოვი მაყურებლებში გადავიდნენ. ამრიგად, სსრ კავშირიდან შემდგომ ბრძოლას მხოლოდ ოთხი მოკრივე გააგრძელებს.

„კლასიკოსთა" ტურნირში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოდგა მძიმეწონოსანი. მოჭიდავეების — ოლიმპიადის ყველაზე მძიმე მონაწილის, ამერიკელი კ. ტეილორისა და დასავლეთგერმანელი ვეტერანის ვ. დიტრიჰის შეხვედრა. დიტრიჰი თავის მეტოქეზე ბევრად ნაკლებს იწონის, მაგრამ მან დრო იხელთა და ეს თითქმის 200-კილოგრამიანი „კარადა" თავს ზემოთ გადაიტანა და ბეჭებზე დასცა.

საბჭოთა მოჭიდავეებს ამ საღამოს ასეთი შედეგები მოუტანა: ა. როშჩინმა, ნ. იაკოვენკომ და ვ. იგუმენოვმა გაიმარჯვეს, ხოლო ვ. ზუბკოვი, ვ. რეზანცევი და ა. ნაზარენკო დამარცხდნენ.



საღამოს ტელევიზიის თითქმის ყველა არხით გფრ-ისა და უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩს გადასცემდნენ. მაგრამ მინდვრის მასპინძლებმა გული ატკინეს თავიანთ გულშემატკივრებს — დამარცხდნენ ანგარიშით 1:4 (1:2). გამარჯვებულთაგან თითო გოლი გაიტანა ორივე დუნაიმ, ორიც — ახალგაზრდა კიუმ. ეს უნგრეთის ფეხბურთელების უკვე მეორე გამარჯვებაა ნახევარფინალურ ჯგუფში, რამაც თვალსაჩინოდ გაზარდა ოლიმპიური ტურნირის გადამწყვეტ მატჩში მათი მონაწილეობის შანსი. უნგრელებს ერთი თამაში დარჩათ ჩასატარებელი აუტსაიდერებთან — მექსიკელებთან, გფრ-ის გუნდთან გამარჯვებამდე კი მათ გდრ-ის გუნდს სძლიეს.

საბჭოთა ხელბურთელებმა პირველ ნახევარფინალურ მატჩში შეძლეს გდრ-ის ძლიერი გუნდის დამარცხება — 11:8 (4:4). ეს წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა მეკარე იშჩენკოს კარგმა თამაშმა. მაგალითად, როცა ანგარიში 5:5 იყო, მან ორჯერ შეძლო ძლიერი დარტყმების მოგერიება და გერმანელებმა... ხელები ჩამოუშვეს. ამის შედეგად გდრ-ის გუნდის კარში ზედიზედ გავიდა ბურთები და ანგარიში თვალის დახამხამებაში 9:5 გახდა. ამ მომენტიდან საბჭოთა გუნდის გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა.

სსრ კავშირის ნაკრები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: იშჩენკო, შევჩენკო, რეზანოვი, კლიმოვი, ლუცენკო, პანოვი, ილინი. ითამაშეს, აგრეთვე, კულევმა, მაქსიმოვმა, გასიიმ და უსატიმ.

შემდეგი მატჩი საბჭოთა ხელბურთელებს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან აქვთ. ჯგუფში მათმა მეტოქემ — რუმინეთის ნაკრებმა დღეს უნგრელები დაამარცხა — 20:14 (11:6).

ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური გუნდი დღეს თავისი 25 ოქროს მედლიდან ერთ-ერთს... დაემშვიდობა. როგორც დადგინდა, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულმა რიკ დემონტმა. ფინალური გაცურვის წინ აკრძალული მასტიმულირებელი საშუალება გამოიყენა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა მას დისკვალიფიკაცია უყო. ამრიგად, ამ სახეობაში გამარჯვებულად გამოაცხადეს II ადგილზე გასული ავსტრალიელი ბრედფორდ კუპერი, რომელიც დემონტს სულ წამის მეასედით ჩამორჩა. კუპერის დროა 4.00,27.

და კიდევ ერთ დელეგაციას ჩამოერთვა ოლიმპიური ჯილდო: ჰოლანდიელმა ველოსიპედისტმა ვან დენ ჰოვემ ასევე იხმარა დოპინგი. წესის თანახმად, 100 კილომეტრზე რბოლაში ნიდერლანდების მთელ გუნდს ბრინჯაოს მედლები ჩამოართვეს. ამ ჯილდოებს ახლა ბელგიელები მიიღებენ, რომელთა დროა 2:12.36,7.

... უკვე გვიან ღამით, ოლიმპიურ სოფელში უკანასკნელნი ბრუნდებოდნენ დაშნით მოფარიკავენი. მათ მედლები გაითამაშეს. ჩემპიონი გახდა უნგრელი ს. ფენვეში. ვერცხლის მედალი ფრანგმა ჟ. დეგაიერიმ მოიგო, ხოლო ბრინჯაოსი — გ. კულჩარმა (უნგრეთი).

**გ. ზუხოვცევი, ვ. კუკუშკინი, ა. ლევინსონი, ა. სტაროდუბი, ი. ხრომოვი.**

(საკდესის სპეც. კორ.).

• • •



სურათებზე: სსრ კავშირისა და გდრ-ის ხელბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტი. მარჯვნივ — ვ. კულევი (№ 4) ბურთს კარში ტყორცნის; ზემძიმე წონის ძალოსნები საპატიო კვარცხლბეკზე. მარცხნიდან — რ. მანგი, ვ. ალექსეევი, გ. ბონკი.

(მიუნხენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).

• • •

კილი, 6 სექტემბერი. ოლიმპიური საიალქნო რეგატის პირველი გამარჯვებული გახდა სახელგანთქმული ინგლისელი აფროსანი როდნეი პატისონი, რომელმაც, დასკვნითი, მეშვიდე რბოლის შედეგების მიუხედავად, უკვე მოიგო ოქროს მედალი „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში.

## ვიდრე...

◆ საბჭოთა მძლეოსანმა ლ. ბრაგინამ მსოფლიო რეკორდით მოიგო 1500 მეტრზე ნახევარფინალური გარბენი — 4.05,1.

◆ 110 მეტრზე თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა რონ მილბერნი (აშშ) — 13,2 წამი.

## ოლიმპიური მოზაიკა

ოლიმპიურ სანიჩბოსნო არხში სისწრაფეში ვერავინ შეედრება 5 ათას ნაირფერ კალმახს, რომლებიც იქ თევზაობის მოყვარულთა საამებლად ჩაუშვეს. № 1 კალმახი სპეციალურად ვერცხლის სხეპლითაა დანიშნული. სპორტულ მეთევზეთა კავშირმა თავიანთ წევრებს დაავალა, რომ, თუ რომელიმე მათგანი „შეფ-კალმახს" დაიჭერს, უმალვე ისევ წყალში გადაუშვას.

ამერიკელმა ურის მტყორცნელმა ფრენმა დილით ადრე კლუბ „ბავარიაში" პიანინოზე დაკვრა მოისურვა. როცა წესრიგის მსახურებმა ბრგე ათლეტს თავაზიანად სთხოვეს სიმხუდროვე არ დაერღვია, ამერიკელმა მათ... მუშტიკრივი გაუმართა.

მას შემდეგ, რაც 200 მეტრზე ვაჟთა რბენის ფინალში ბორზოვმა ჩინებულად გაუსწრო ამერიკელ ბლეკს, დასავლეთგერმანული გაზეთი „ზიუდდოიჩეცაიტუნგი" წერდა: „ბლეკმა მიაღწია იმას, რაც წლეულს ვერც ერთმა სხვა სპრინტერმა ვერ შეძლო: მან აიძულა ბორზოვს თავისი ჩქაროსნული პოტენციალის დაახლოებით 95 პროცენტი ჩაერთო".

საერთაშორისო ანტისადოპინგო კომისიამ აკრძალული მასტიმულირებელი საშუალებების გამოყენებისთვის დისკვალიფიკაცია მისცა ირანელ ძალოსანს ნაზეხის.

ნიჩბოსანთა რბოლებზე მთლად ნერვებმოშლილმა გფრ-ის „რვიანის" მწვრთნელმა ადამმა, რომელიც სტუდენტობის წლებში მოკრივე იყო, პირდაპირ სახეში მუშტი ჩასცხო ველოსიპედისტს, რომელიც მას დაეჯახა. დაშავებული აღმოჩნდა დასავლეთ გერმანიის... მებაიდარე ქალი პეპინგჰედე.

დასავლეთგერმანულმა გაზეთმა „ბილდმა" საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა: მიუნხენის ცენტრიდან ოლიმპიური სტადიონისკენ გაგზავნეს ექვსი კაცი, რომელთაგან თითოეული გადაადგილების სხვადასხვა საშუალებით სარგებლობდა — ქვეითად, მეტროთი, სპეციალური მატარებლით, ტრამვაით, ტაქსით და ჩვეულებრივი მსუბუქი ავტომანქანით. აი, როგორი იყო შედეგები: მეტრო — 25 წუთი, სპეცმატარებელი — 33, ტრამვაი — 40, ტაქსი — 42, ფეხით მოსიარულე — 81, ავტომანქანა — 180 წუთი.

ბრავოს ტრასაზე კილის ფიორდში გემზე, რომელიც ინგლისურ გუნდს დაჰყვება, აღმოაჩინეს რადიოგადამცემი და, რასაკვირველია, კონფისკაცია უყვეს. მთავარმა სამსაჯო კოლეგიამ ამ ფაქტის განხილვა დაიწყო, მით უმეტეს, რომ ბრავოს ტრასაზე „მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში ერთ-ერთი რბოლა დიდი უპირატესობით მოიგო ინგლისელმა რ. პატისონმა.

საინტერესოა, რომ მიუნხენში გამგზავრებამდე ამერიკელ კალათბურთელთა გუნდმა ორი კვირა გაატარა აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემიის ყაზარმებში (კოლორადო-სპრინგსი). იქ ნაკრებისთვის მკაცრი განრიგი დააწესეს; ვარჯიში თითქმის მთელ დღეს გრძელდებოდა, არავითარი ცეკვები და დათხოვნის ბარათები... ტელევიზორის ჩართვაც კი მხოლოდ მწვრთნელის ნებართვით შეიძლებოდა.

ოლიმპიური თამაშების შეჯიბრებებისთვის საორგანიზაციო კომიტეტმა 3.823.675 ბილეთი დაბეჭდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიუნჰენის XX ზაფხულის ოლიმპიური თამაშები




ტრაგედია, რომლის შესახებაც თქვენ უკვე იცით, გუშინ გათენების ხანს ოლიმპიურ სოფელში დაიწყო და დღეს გვიან ღამით დასრულდა მიუნჰენის მახლობლად მდებარე ფიურსტენფელდბრუკის სამხედრო აეროდრომზე.

ავტომატების ჯერმა, რომელიც ალიონზე გაისმა, ოლიმპიური სოფელი არ გააღვიძა. სროლის ხმა მხოლოდ მათ მოესმათ, ვინც ამ დილით განსაკუთრებით ადრე ადგა. ეს გასაგებიცაა — ზალპმა იქუხა ბეტონის ბლოკში, რომლის მასიური კედლები უფრო ციხისას ჰგავს. მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარის წინაღობად შვიდი კაცისგან შემდგარი ჯგუფისთვის, რომელმაც ამ დილაადრიანად ოლიმპიურ სოფელში შეაღწია.

ტელეფონისტებმა, რომლებიც დაახლოებით ხუთი საათისთვის სოფელში კავშირგაბმულობის ხაზს არემონტებდნენ, დაინახეს, როგორ მიცოცავდა ხუთი-ექვსი კაცი დახურულ ჭიშკარზე, მაგრამ ამისთვის სერიოზული მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ — დროსტარებიდან დაბრუნებული სპორტსმენები ეგონათ. უცნობებს ხელში სპორტული ჩანთები ეკავათ. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ჩანთებში ავტომატები ეწყო...

დილის 5 საათსა და 20 წუთზე ერთ-ერთი მეზობელი ბლოკის დამლაგებელს № 31 ბლოკიდან, სადაც ისრაელის, ურუგვაისა და ჰონკონგის სპორტსმენები ცხოვრობენ, ავტომატების ჯერი მოესმა. მან განგაში ატეხა.

ავტომატების ჯერი დამიზნებული იყო კარზე, რომელიც თავდამსხმელებს ცხვირწინ მიუხურა ისრაელის მოჭიდავეთა გუნდის მწვრთნელმა. იგი ადგილზე მოკლეს. ტყვიებმა მის გვერდით მდგომი სპორტსმენიც განგმირა.

ყოველივე ეს მიუნჰენმა ჯერ კიდევ არ იცოდა.

პირველი ცნობები რადიოთი, ტელევიზიით. ერთი მეორეზე ფანტასტიკური ჭორები...

ოლიმპიური სოფლის თავზე პოლიციელთა შვეულმფრენების გუგუნია. ორმაგი ალყა. ყრუდაა გადაკეტილი მისადგომები № 31 ბლოკთან, სადაც ბარიკადები მოაწყვეს ტერორისტებმა, რომლებმაც მძევლები სარდაფში შერეკეს.

სასწრაფო განცხადებების არეული ნაკადიდან, რომელიც ბრძოლის ველიდან ცნობებს მოგაგონებდათ, შემდეგი სურათი ისახებოდა...

## რა მოხდა მიუნჰენში

თავდასხმა განახორციელეს პალესტინის ექსტრემისტული ორგანიზაციის „შავი სექტემბრის“ წევრებმა. ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინამ, რომელიც შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე ათასი კილომეტრითაა დაშორებული, დასტური მისცა: „დიახ, ეს ჩვენი ხალხია“.

თავდასხმის მონაწილეებმა წამოაყენეს მოთხოვნა დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინათ დაახლოებით ორასი პატიმარი პალესტინელი, რომლებიც ისრაელის ციხეებში სხედან. ულტიმატუმის ვადა იწურებოდა 12 საათზე შუაევროპული დროით.

11.40. მიმდინარეობს ტერორისტებთან დაძაბული მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ გფრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი გენშერი და მიუნჰენის პოლიცაი-პრეზიდენტი შრაიბერი. ულტიმატუმის ვადა გაგრძელებულია 13 საათამდე, შემდეგ — 15-მდე.

13.10. სიტყვა „განსაკუთრებული“ მეორდება ყველა ინფორმაციაში, რომლებსაც ოლიმპიადის პრეს-ცენტრის ტელეტაიპები ბეჭდავენ. ფედერალური კაბინეტის განსაკუთრებული სხდომა ბონში. კონტროლის განსაკუთრებული ზომები გფრ-ის ყველა აეროდრომზე. განსაკუთრებული მდგომარეობა ოლიმპიურ სოფელში.

13.33. ბი-ბი-სის სატელევიზიო არხის ეკრანზე — სამი სნაიპერი მიცოცავს სახურავზე. შაშხანების ოპტიკური სამიზნეები № 31 ბლოკის ფანჯრებისკენაა მიმართული.

13.40. გფრ-ის ტელევიზია წყვეტს გადაცემას ოლიმპიური სოფლიდან: „ჩვენ ვიცით, რომ ბლოკში, სადაც ტერორისტები არიან, დგას ტელევიზორები. ჩვენ არ გვსურს ხელი შევუშალოთ პოლიციის მოქმედებას“.

13.50. გფრ-ის პრეზიდენტი ჰაინემანი განცხადებით გამოდის. იგი ამბობს, რომ მომხდარი ამბით შეძრწუნებულია...

14.25. მიუნჰენ-რიიმის აეროდრომზე ჩადის გფრ-ის კანცლერი ვილი ბრანდტი. იგი უმალვე ჯდება შვეულმფრენში და ოლიმპიურ სოფელში მიფრინავს.

15.37. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებენ თავიანთ გადაწყვეტილებას: თამაშები განუსაზღვრელი დროით შეწყდეს.

15.45. ბავარიის მთავრობის წარმომადგენელს ჟურნალისტები პირდაპირ შეკითხვას უსვამენ: „შეიძლებოდა თუ არა ტრაგედიის თავიდან აცილება?“ იგი უპასუხებს: „ჩვენ არ გვინდოდა, რომ ოლიმპიური სოფელი ალყაშემორტყმულ ბანაკს დამსგავსებოდა, მიუნჰენი კი პოლიციელთა ქალაქს. ჩვენ მივიღეთ უშიშროების ყველა ზომა, რომლებიც აუცილებლად მიგვაჩნდა“.

17.15. გენშერი და შრაიბერი კვლავ № 31 ბლოკში მიდიან, რათა მოლაპარაკება განაახლონ. ისინი საკუთარ თავს სთავაზობენ მძევლებად. წინადადება უარყოფილია. სთავაზობენ ნებისმიერ ფულად თანხას. უარი.

20.50. პოლიციის შვეულმფრენი მცელავი ფრენით სოფელს გადაუვლის. იგი № 31 ბლოკიდან ორასი მეტრის დაშორებით ჯდება.

22.07. სოფლიდან გადის დახურული ავტობუსი. როგორც მოგვიანებით გახდება ცნობილი, მასში ისხდნენ თავდასხმის მონაწილენი და მძევლები.

22.20. ტერორისტები და მძევლები ადგილებს იკავებენ ორ შვეულმფრენში, რომლებიც ჰაერში ადიან და იღებენ კურსს მიუნჰენიდან 25 კილომეტრით დაშორებული ფიურსტენფელდბრუკის აეროდრომისკენ, სადაც მათ ელის დასავლეთგერმანული ავიაკომპანიის „ლიუფტჰანზას“ „ბოინგ-727“. ეს იყო თავდასხმის მონაწილეთა უკანასკნელი მოთხოვნა: უზრუნველეყოთ მათთვის დაუბრკოლებელი გაფრენა მძევლებთან ერთად ქვეყანაში, რომელსაც ისინი ჰაერში დაასახელებდნენ.

22.30. შვეულმფრენები მიწაზე ეშვებიან.

... ფიურსტენფელდბრუკის აეროდრომზე მიმართეს მძევლების გათავისუფლების თავგანწირულ ცდას. მას შემდეგ, რაც ბუნდესვერის სპეციალური გუნდის სნაიპერებმა ტერორისტებს ცეცხლი დაუშინეს, ტერორისტული ჯგუფის ცოცხლად დარჩენილმა წევრებმა ავტომატების ჩახმახებს გამოკრეს...

შექმნილ ორმხრივ სროლაში ტერორისტებმა ხელყუმბარებით დახოცეს მძევლები, ერთ-ერთი შვეულმფრენის პილოტი და ერთი პოლიციელი. სამი პოლიციელი დაიჭრა.

ხელყუმბარების აფეთქებით მოსპეს შვეულმფრენი. პოლიციამ და ჯარისკაცთა პატრულებმა აეროდრომის ტერიტორიას ალყა შემოარტყეს და მიდამოს ჩხრეკა დაიწყეს.

ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ჩასაფრების მიზეზებს რომ განმარტავდა, აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ მძევლები დათანხმდნენ ტერორისტებთან ერთად გაფრენილიყვნენ კაიროში ან მაროკოში, დასავლეთ გერმანიის ოფიციალური პირები, რომელთაც მოლაპარაკება ჰქონდათ ტერორისტებთან, შიშობდნენ, რომ ჩასვლისთანავე ყველა მძევალს სიცოცხლეს გამოასალმებდნენ. ამიტომ პოლიციამ გადაწყვიტა ეცადა მძევლების გადარჩენა ჯერ კიდევ თვითმფრინავში ჩასხდომამდე“.

6 სექტემბერი ოლიმპიურ დედაქალაქში გლოვის დღეა. 19 საათამდე არავითარი შეჯიბრება არ გაიმართება.

... დაეშვა ხუთრგოლიანი დროშა. დაშვებულია ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების ალმები. ვენის ფილარმონიის ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს ბეთჰოვენის მესამე სიმფონიიდან. ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ სამგლოვიარო ცერემონიალს 80 ათასი ადამიანი ესწრება.

აი, ასე განვლო მიუნჰენში 5 და 6 სექტემბრის 48 საათმა...

ბ. გურკოვი,
ვ. ლიაშენკო.
(„კომსომოლსკაია პრავდის“ სპეც. კორ.).

მიუნჰენი, 6 სექტემბერი.

## მხოლოდ ტელეფონური შეტყობინებები...

### წყალბურთი

ფინალური ტურნირი

სსრ კავშირი — აშშ 6:6, სსრ კავშირი — იუგოსლავია 5:4, სსრ კავშირი — უნგრეთი 3:3, სსრ კავშირი — გფრ 4:2, სსრ კავშირი — იტალია 4:1*, უნგრეთი — აშშ 5:3, უნგრეთი — იუგოსლავია 4:2, უნგრეთი — გფრ 3:3*, უნგრეთი — იტალია 8:7, აშშ — იუგოსლავია 5:3*, აშშ — გფრ 4:4, აშშ — იტალია 6:5, გფრ — იუგოსლავია 4:5, გფრ — იტალია 2:2, იუგოსლავია — იტალია 6:6.

შენიშვნა: ვარსკვლავით აღნიშნული შედეგები წინასწარი ტურნირებიდანაა გადმოსული.

### ფინალური გათამაშების ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 3 | 2 | 0 | 22—16 | 8 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 23—18 | 8 |
| აშშ | 2 | 2 | 1 | 24—23 | 6 |
| გფრ | 0 | 3 | 2 | 15—18 | 3 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 3 | 20—21 | 3 |
| იტალია | 0 | 2 | 3 | 21—26 | 2 |

## სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის, ოლიმპიური კომიტეტისა და XX ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა დელეგაციის განცხადება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი და XX ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა დელეგაცია გამოხატავენ ღრმა სინანულს XX ოლიმპიურ თამაშებზე 5 სექტემბერს მომხდარი ტრაგიკული ინციდენტის გამო.

საბჭოთა სპორტულ ორგანიზაციებს და საზოგადოებრიობას მიაჩნიათ, რომ ტერორისტული მოქმედებანი შეუთავსებელია ხალხთა შორის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებასთან, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობას უდევს საფუძვლად.

საბჭოთა სპორტსმენები აღსავსენი არიან რწმენით კვლავაც შეუწყონ ხელი მაღალი ოლიმპიური იდეალების განხორციელებას.

## ადგილები, მედლები, ქულები

(არაოფიციალური გუნდური ჩათვლა)

მდგომარეობა 5 სექტემბრისთვის

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | IV | V | VI | მედლები სულ | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 24 | 26 | 21 | 23 | 16 | 6 | 71 | 489 |
| 2. სსრ კავშირი | 26 | 21 | 16 | 12 | 14 | 8 | 63 | 421 |
| 3. გდრ | 16 | 14 | 18 | 15 | 12 | 18 | 48 | 339,75 |
| 4. იაპონია | 12 | 6 | 9 | 8 | 6 | 5 | 27 | 188,5 |
| 5. გფრ | 8 | 6 | 9 | 11 | 14 | 10 | 23 | 186,5 |
| 6. უნგრეთი | 2 | 7 | 11 | 4 | 3 | 6 | 19 | 117 |
| 7. ავსტრალია | 6 | 5 | 2 | 6 | 3 | 2 | 13 | 101 |
| 8. იტალია | 5 | 3 | 7 | 2 | 2 | 3 | 15 | 90,5 |
| 9. პოლონეთი | 4 | 3 | 2 | 7 | 5 | 6 | 9 | 83 |
| 10. ბულგარეთი | 3 | 7 | 1 | 5 | 2 | 2 | 11 | 80,5 |
| 11. ინგლისი | 3 | 3 | 4 | 4 | 2 | 4 | 10 | 71,5 |
| 12. შვეცია | 4 | 2 | 3 | 2 | 3 | 7 | 9 | 69 |
| 13. ჩეხოსლოვაკია | 1 | 3 | 2 | 3 | 3 | 3 | 6 | 48 |
| 14. საფრანგეთი | 1 | 1 | 5 | 2 | 2 | — | 7 | 41 |
| 15. რუმინეთი | — | 1 | 3 | 3 | 4 | 4 | 4 | 38 |
| 16. კანადა | — | 2 | 2 | 4 | 2 | 2 | 4 | 35 |
| 17. ნორვეგია | 2 | 1 | — | 1 | 1 | — | 3 | 24 |
| 18. ჰოლანდია | 1 | — | 1 | 1 | 2 | 5 | 2 | 23 |
| 19. ფინეთი | 1 | — | 2 | 1 | — | 3 | 3 | 21 |
| 20. კენია | 1 | 1 | 1 | — | 1 | 1 | 3 | 19 |
| 21-23. შვეიცარია | — | 2 | — | 1 | — | 4 | 2 | 17 |
| 21-23. ავსტრია | — | 1 | 2 | — | 1 | 2 | 3 | 17 |
| 21-23. ირანი | — | 1 | 1 | 1 | 3 | — | 2 | 17 |
| 24. კსდრ | 1 | — | 2 | — | — | 2 | 3 | 16,5 |
| 25. ახალი ზელანდია | 1 | 1 | — | — | — | 2 | 2 | 14 |
| 26. ბრაზილია | — | — | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 13.5 |
| 27. მონღოლეთი | — | 2 | — | 1 | — | — | 2 | 13 |
| 28. კუბა | — | — | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 12,5 |
| 29. დანია | 1 | — | — | 1 | — | 1 | 1 | 11 |
| 30. თურქეთი | — | 1 | 1 | — | 1 | — | 2 | 10,5 |
| 31. ბელგია | — | 1 | 1 | — | — | — | 2 | 9 |
| 32-33. უგანდა | 1 | — | — | — | — | — | 1 | 7 |
| 32-33. იუგოსლავია | — | — | — | — | 3 | 1 | — | 7 |
| 34-35. იამაიკა | — | — | 1 | — | 1 | — | 1 | 6 |
| 34-35. ინდოეთი | — | — | — | 2 | — | — | — | 6 |
| 36-40. არგენტინა | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 36-40. ესპანეთი | — | — | — | 1 | 1 | — | — | 5 |
| 36-40. კოლუმბია | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 36-40. ლიბანი | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 36-40. სამხრეთ კორეა | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 41. ეთიოპია | — | — | 1 | — | — | — | 1 | 4 |
| 42. ეკვადორი | — | — | — | 1 | — | — | — | 3 |
| 43. საბერძნეთი | — | — | — | — | 1 | 1 | — | 2,75 |
| 44-45. ბირმა | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |
| 44-45. მექსიკა | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |
| 46-48. განა | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 46-48. პუერტო-რიკო | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 46-48. სენეგალი | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის 100 კმ-ზე გუნდურ საგზატკეცილო რბოლაში VI ადგილზე გასული გუნდის შედეგი.

# ახალგაზრდები არ შედრკნენ

ვინიპეგი, 6 სექტემბერი. აქ უდიდესი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდის მესამე შეხვედრამ კანადის საუკეთესო პროფესიონალებთან.

საბჭოთა მწვრთნელებმა ვ. ბობროვმა და ბ. კულაგინმა სათამაშოდ გამოიყვანეს ახალგაზრდა ჰოკეისტთა დიდი ჯგუფი, რათა მისი უნარი შეემოწმებინათ სპორტის ამ სახეობის საუკეთესო პროფესიონალებთან შეხვედრაში. საბჭოთა ჰოკეის ღირსებას იცავდნენ: ტრეტიაკი; ციგანკოვი — ლუტჩენკო, მიხაილოვი — მალცევი — ხარლამოვი; გუსევი — კუზკინი, სოლოდუხინი — შადრინი — იაკუშევი; შატალოვი — ვასილიევი, ლებედევი — ანისინი — ბოდუნოვი; პეტროვი, მიშაკოვი. სათადარიგო იყო ზინგერი.

კანადელებმა ისეთივე შემადგენლობა გამოიყვანეს, როგორიც ჰყავდათ ტორონტოში გამართულ წინა მატჩში, მხოლოდ სათადარიგო ფორვარდთა რეზერვიდან გოლსუორსის ნაცვლად ყინულზე რატელი გამოდიოდა.

საბჭოთა მწვრთნელების ვარაუდი გამართლდა: ახალგაზრდობამ ძნელი გამოცდა ჩააბარა. შესანიშნავად ჩაატარეს შეხვედრა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბ. კულაგინის ბიჭებმა „კრილია სოვეტოვიდან“: ლებედევმა — ანისინმა — ბოდუნოვმა.

... თამაში საბჭოთა გუნდისთვის ცუდად დაიწყო: უკვე მე-2 წუთზე კანადელთა თავდამსხმელი პარიზე ყველაზე ადრე გაჩნდა შაიბასთან და სტუმრების კარში მოათავსა იგი. მე-4 წუთზე მოედნიდან გააძევეს ვასილიევი, მაგრამ ამან საბჭოთა ჰოკეისტები არ შეაკრთო. პირიქით, პეტროვი ჯიქურ შეიჭრა მეტოქეთა ზონაში და ძლიერი დარტყმით შაიბა ტ. ესპოზიტოს კარში გაგზავნა.

თამაში თავიდან ბოლომდე მაღალ ტემპში, მკაცრ ძალისმიერ ბრძოლაში მიმდინარეობდა. წინა შეხვედრისგან განსხვავებით, არბიტრებმა განიონმა და ლიმ კარგად გაართვეს თავი თავიანთი მოვალეობის შესრულებას და კანადელებს „ბინძური“ თამაშის საშუალება არ მისცეს, როგორც ეს ტორონტოში იყო. წესებით დაშვებულ ძალისმიერ ჭიდილში კი საბჭოთა ჰოკეისტები მასპინძლებს ტოლს არ უდებდნენ.

პირველმა პერიოდმა დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. და მაინც, დასასვენებლად გუნდები წავიდნენ, როცა ანგარიში 2:1 იყო კანადელთა სასარგებლოდ. გოლი მე-19 წუთზე გაიტანა რატელმა.

მეორე პერიოდიდან მოყოლებული, ინიციატივა საბჭოთა გუნდის მხარეს იყო, მაგრამ კანადელები სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდნენ და 25-ე წუთზე ფ. ესპოზიტომ კიდევ უფრო გაზარდა ანგარიში.

უმთავრესად მეკარე ტ. ესპოზიტოს საუცხოო თამაშის წყალობით კანადელები ერთხანს წარმატებით იგერიებდნენ საბჭოთა გუნდის იერიშებს. მაგრამ 33-ე წუთზე ხარლამოვმა მიიღო ციგანკოვის კარგი ვადაცემა, გვერდი აუარა მცველ პარკს, მერე მეკარესაც და მეორე შაიბა გაიტანა. უმალვე ჰენდერსონმა საბჭოთა მცველების შეცდომა გამოიყენა და ანგარიში გახდა 4:2.

სსრ კავშირის ნაკრების შეტევა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. 35-ე წუთზე ლებედევმა, 39-ე წუთზე კი ბოდუნოვმა მასპინძელთა კარი აიღეს და ანგარიში გათანაბრდა — 4:4.

მესამე პერიოდი საბჭოთა ნაკრების დიდი უპირატესობით ჩატარდა. მაღალ ტემპს კანადელები აშკარად ვერ უძლებდნენ. შაიბა ორჯერ ასცდა მათს ცარიელ კარს: პირველ შემთხვევაში ყინულზე გაწოლილმა მეკარემ ცეცურით შეუცვალა მალცევის მიერ დარტყმულ შაიბას მიმართულება, მერე კი ხარლამოვმა და მიხაილოვმა კანადელთა მეკარის ზურგს უკან ზედ კარის ხაზზე „გააცურეს“ შაიბა. მატჩის დამთავრებას 13 წამი აკლდა, როცა ტ. ესპოზიტომ კვლავ იხსნა კარი მალცევის დარტყმის შემდეგ.

საუცხოოდ მოქმედებდა საბჭოთა მეკარე ტრეტიაკიც, რომელიც სტუმართა შორის მეორედაა აღიარებული საუკეთესო მოთამაშედ. კანადის გუნდის საუკეთესო ჰოკეისტად კი ჰენდერსონი აღიარეს. მატჩის შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა ჰ. სინდენმა აღნიშნა, რომ ფრე ამ შეხვედრაში კანადელთა კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

8 სექტემბერს სსრ კავშირისა და კანადის ჰოკეისტები მეოთხე, დასკვნითს მატჩს გამართავენ, ამჯერად — ვანკუვერში.

სექტემბრის დამლევს კანადელები საპასუხო ვიზიტით ჩავლენ მოსკოვში.

ვ. ჩერნიშოვი.
(საქდესის კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხაკაიელთა სპორტული შემართება

## წარსულს თუ გადავხედავთ...

ცხაკაიას რაიონში სპორტულ ტრადიციებს ღრმა ფესვები აქვს. მწვანე ველებსა და გორაკებს ზევრი ახალგაზრდა ოდითგანვე იყენებდა საასპარეზოდ. აქ ცდიდნენ მუხლისა და მკლავის ძალას მძლეოსნობაში, ცხენოსნობაში, ჭიდაობაში.. უფრო მეტად კი აქაური ახალგაზრდები გატაცებული იყვნენ ყაბახითა და ლელობურთით.

შეჯიბრებები სულ უფრო მასობრივი ხდებოდა და მტკიცედ მკვიდრდებოდა სოფლის მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში.

ვის არ გაუგონია ბეჭდაუდებელი ფალავნის ნესტორ ესებუას სახელი, რომელმაც ვაჟკაცობითა და შემართებით სპორტის მოყვარულთა გულები მოინადირა. უბადლო ფალავანი ძველ სენაკში ხშირად აწყობდა მოჭიდავეთა შეჯიბრებებს, ახალბედებს ასწავლიდა ქართული ჭიდაობის ხერხებსა და ილეთებს. მისდევდნენ მის ნაკვალევს, აღწევდნენ მიზანს.

ახლა ცხაკაიაში მოწყობილ სახელოვან სპორტსმენთა ფოტოსტენდზე ნესტორ ესებუას სურათი საპატიო ადგილზეა გამოფენილი.

განა მარტო ნესტორის ფოტოსურათს შეჰყურებენ სიყვარულით ჭაბუკები და ქალიშვილები. მათ სხვაც ბევრი ჰყავთ კარგი მაგალითის მიმცემი. სენაკში ისაკ კიზირიამ ახლებურად წარმართა სპორტული ცხოვრება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მან მხარში ამოიყენა ფიზკულტურისა და სპორტის ენთუზიასტები და სპორტულ მოძრაობას ორგანიზებული ხასიათი მისცა. კიზირიას ხელმძღვანელობით ეწყობოდა სპორტული საღამოები, სამატჩო შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ მეზობელი რაიონების წარმომადგენლები, დედაქალაქიდან ჩამოსული სპორტსმენები.

ისაკ კიზირიამ თავისი მუშაობის ბოლო წლებში გვერდში ამოიყენა მოწინავე ტანმოვარჯიშე ვლადიმერ ეჯიბია, რომელიც შემდეგ ცხაკაიას რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის თავკაცი გახდა.

ცხაკაიელები ამაყობენ იმით, რომ მათს რაიონში აიდგეს ფეხი საქვეყნოდ ცნობილმა ათლეტებმა გივი კარტოზიამ, რობერტ ჯლამაძემ, ალიოშა ჯეჯელავამ, კომპოზიციის ოსტატმა ჭადრაკში გია ნადარეიშვილმა და ბევრმა სხვამ. მდინარე ტეხურის პირას გააჯირითეს პირველად გაუხედნავი რაშები უშიშარმა მხედრებმა, მამაშვილმა ჩაგუ და ვანო შამათავებმა, გვეჯე ივანიძემ, ილარიონ კვარაცხელიამ, ნანული მელქაძემ.

დღეს მთელს რაიონში ლეგენდასავით დადის ჩაგუ შამათავას ნაღვაწი და ნამოქმედარი. მან პირველმა გაუთქვა სახელი ქართულ საცხენოსნო სპორტს და შვილიც მამის გზას გაჰყვა. ვანო ჭაბუკი იყო, სათავეში რომ ჩაუდგა ზუგდიდის საცხენოსნო სკოლას და მოხუცი მამის სპორტულ მეტოქედ იქცა. სპორტის სიყვარულმა ისინი ერთიმეორეს სარბიელზე შეახვედრა და გამარჯვება მოხუც მამას არგუნა. მაშინ ვანომ ასე იმართლა თავი: ღამით ჩემი ცხენი აშვებული იყო და ნედლი სიმინდი ეჭამაო...

შეიძლება მართალიც იყოს. შეჯიბრების წინ ხომ მხედრები რაშებს მხოლოდ ხმელი სიმინდით კვებავენ.

## ტრადიცია გრძელდება

ქალაქის განაპირას გადაჭიმული მინდორი მხედრების საჯირითო ადგილად ქცეულა. დაცემულ ვაკეზე ოსტატობას ყოველდღე იმაღლებენ ახალგაზრდა მხედრები რომან გარუჩავა, ამირან მესხი, თემურ შამათავა, ალეკო საჯაია და მათი მეგობრები.

რომან გარუჩავა 13 წლისა იყო, ცხაკაიას საცხენოსნო სპორტულ სკოლაში რომ მივიდა. თან მიიტანა ცხენოსნობის დიდი სიყვარული და სიმამაცე. დღეს რომანი ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატია ხტომაში. მან დამსახურებულად მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება.

მხედრები საწვრთნელი მინდვრიდან ყოველ საღამოს „ცხენოსნურის" გუგუნით ბრუნდებიან და გამარჯვების რწმენას უორკეცებენ გულშემატკივრებს. მათ გვერდიდან არ შორდება ვეტერანი ცხენოსანი, ცხაკაიას საცხენოსნო კლუბის დირექტორი გიორგი გრიგოლია, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ცხაკაიელ მხედართა წარმატებაში.

განა სანაქებო არ არის, რომ რესპუბლიკის ცხენოსანთა ნაკრები ძირითადად ცხაკაიელი ვაჟკაცებით არის დაკომპლექტებული, რომ აბსოლუტური ჩემპიონის გამოვლინების მიზნით გამართულ ასპარეზობებში ოთხი წელია ზედიზედ იმარჯვებენ, რომ რესპუბლიკაში დაწესებული 7 გარდამავალი თასიდან 6 თასი ცხაკაიელებს აქვთ...

მაგრამ საცხენოსნო სპორტის განვითარებაში ნაკლოვანებები ცხაკაიელებსაც აქვთ. აქაც მიივიწყეს საინტერესო და მიმზიდველი ეროვნული თამაშები. ორი წელია ცხენოსნობის მოყვარულები არ დამტკბარან მხედრების შეძახილებით ისინდის, ცხენბურთისა თუ მარულის დროს.

მართალია, მხედრებსა და მწვრთნელებს ბევრი საქმე აქვთ, დიდ შრომას მოითხოვს საცხენოსნო ზემოჩამოთვლილი სახეობების დაუფლება, მაგრამ ეროვნულმა სახეობებმა რა დააშავა. დროა, აღდგეს ქართველ მხედართა სახელოვანი ტრადიციები.

## სპორტსმენთა სამჭედლო

ქალაქ ცხაკაია წლეულს კიდევ უფრო დაამშვენა განათლების განყოფილების სპორტული სკოლის ნათელმა და კეთილმოწყობილმა დარბაზმა.

ამჟამად სკოლაში 280 მოსწავლე იმაღლებს ოსტატობას. ახალი დარბაზი ერთ თვეს მასპინძლობდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის მონაწილე ჭაბუკებსა და გოგონებს, რომლებმაც ეს საინტერესო ასპარეზობა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნეს.

1500 მონაწილიდან ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლის ხელბურთელებმა, მე-4 და მე-7 საშუალო სკოლების კალათბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებმა, რკინიგზის საშუალო სკოლის მოჭიდავეებმა.

შეჯიბრებას უნარიანად ხელმძღვანელობდნენ სპორტსკოლის დირექტორი გივი ბოკუჩავა, მწვრთნელები კარლო ჯოჯუა, მიხეილ ქურდოვანიძე და სხვ. მათი დაუღალავი შრომის ნაყოფია, რომ ცხაკაიას რაიონში სპორტსმენთა საიმედო ცვლა იზრდება.

ნიჭიერთა შორის არის მოჭადრაკე, X კლასის მოსწავლე ნინო ჯანჯღავა, რომელიც რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში კარგი მაჩვენებლებით გამოდის. აი, რა გვიამბო მან:

— მეოთხე კლასში რომ ვიყავი, ჩემმა ძმებმა მასწავლეს ჭადრაკის თამაში, მეხუთე კლასიდან კი სპორტსკოლაში მიმიყვანეს. შეჯიბრებაში პირველად გამოვედი 1968 წელს, როცა მოსწავლეთა XX სპარტაკიადა ჩატარდა, და გავიმარჯვე. ორი წლის შემდეგ მეორე ჯგუფის გუნდების ტურნირშიც გამიმართლა ბედმა. იმავე წელს გამგზავნეს ვორონეჟში საკავშირო შეჯიბრებაზე. იქ ძლიერი მეტოქეები მყავდა და მაინც ვერცხლის მედალი მხვდა.

თანდათან გამიტაცა ჭადრაკის თამაშმა. მეტი მონდომებით დავიწყე მეცადინეობა და შეჯიბრებებში მონაწილეობა. ყველაზე მეტად შარშან გავიხარე: რკინიგზის სკოლების მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში ოქროს მედალი მერგო. ასეთივე შეჯიბრება წლეულსაც გაიმართა და კიდევ ერთი ოქროს მედალი დავისაკუთრე.

ნინოს თვალწინ ასე გაიკროლებს ხოლმე ვანვლილი სპორტული გზა, რომელიც უფრო მეტს ავალებს ახალგაზრდა სპორტსმენს. ის ხომ პირველთანრიგოსნობიდან სპორტის ოსტატის საიმედო საფეხურს უმიზნებს.

## სპორტი იქაც უყვართ...

როცა სიტყვა ფიზკულტურული ორგანიზაციების კარგ მუშაობაზე ჩამოვარდება, ცხაკაიაში პირველად ხალიჩების კომბინატს დაგისახელებენ. ამ ფიზკულტურულ კოლექტივში 750 კაცია გაერთიანებული. კომბინატელები რაიონის სამრეწველო საწარმოთა შორის გამართულ სპორტულ პაექრობებში მუდამ პირველნი არიან, — ისინი ზედიზედ ხუთი წელია არ თმობენ გარდამავალ თასს.

წარმატების საწინდარი ის არის, რომ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას სათანადო ყურადღებას აქცევენ კომბინატის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. ფეიქარმა სპორტსმენებმა მიზნად დაისახეს თუ არა სპორტული ბაზების კეთილმოწყობა, სპორტული ინვენტარის შეძენა, მათ მაშინვე მხარში ამოუდგა ადმინისტრაცია და ამ საქმეში პრაქტიკულად ეხმარება.

ახლა გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობას გადავხედოთ. ეჭვი არ არის, მეურნეობაში უყვართ ფიზკულტურა და სპორტი, რომლის სათავეშიც მუყაითი ახალგაზრდები დგანან. მათ მიერ შექმნილ 11 სექციაში 114 კაცია გაერთიანებული... აი, სწორედ ეს რიცხვი გვაფიქრებს: იქ სადაც 300-ზე მეტი მუშა მუშაობს, ორასამდე მუშა რატომაა მოკლებული ფიზკულტურის სიკეთეს?

მეორეც: მეურნეობას ფეხბურთის მინდორი აქვს და, ეტყობა, მასაც მთელი დატვირთვით ვერ იყენებენ — მუხლამდე ბიბინებს ბალახი.

ფიზკულტურის მეთოდისტმა იზარდი წოწონავამ, რომელიც მეურნეობაში კომკავშირულ ორგანიზაციასაც ხელმძღვანელობს, მინდორზე გამეფებული სიმშვიდე ჩაის კრეფის სეზონის დაწყებით ახსნა... ვურჩევთ მეგობრებს, დასვენების დღეები მაინც გამოიყენონ ფიზკულტურული მუშაობის გაშლისთვის, თორემ ფეხბურთის მინდორს ბალახი კიდევ უფრო მოერევა.

## ძალისა და ჯანმრთელობის წყარო

ყოველ კვირა-დღეს ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტული ბაზა ხალხითაა სავსე. ერთერთი ასეთი დღის მოწმენი ჩვენც გავხდით.

სარბენ ბილიკებთან თავს იყრიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეები, საკონსერვო ქარხნის, ხალიჩების კომბინატისა და ადგილობრივი მრეწველობის მუშა-მოსამსახურეები.

მწვანედ ახასხასებულ სტადიონს ამშვენებს დროშები, ლოზუნგები. ერთერთ მათგანზე ვკითხულობთ: „მეგობრებო, მშდ ახალი კომპლექსი თქვენი ფიზიკური სრულყოფის საფუძველია, ძალისა და ჯანმრთელობის წყაროა".

დღეს მშრომელები მშდ ახალი კომპლექსის მეოთხე საფეხურის ნორმატივებს აბარებენ — 100 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომასა და ბირთვის კვრაში. ნორმატივების მიმღები კომისიის წევრები მაგიდასთან იკავებენ ადგილს. სტარტზე ახალგაზრდები დგებიან. ბევრი მათგანი წარმატებით ძლევს დისტანციას და ფიზკულტურის მეთოდისტთა იმედებს ამართლებს.

ხალიჩების კომბინატის მუშამ გივი რაზმაძემ 100 მეტრი 13 წამში გაირბინა, 6,25 მეტრზე გადახტა, ბირთვი 12 მეტრზე ჰკრა და ოქროს სამკერდე ნიშანზე გააკეთა განაცხადი. ასევე მაღალ შედეგებს მიაღწიეს ტექნიკუმის მოსწავლეებმა მერი ბოჭორიშვილმა და დარეჯან ჭაავამ.

ამ დღეს ნორმატივები 200-მდე კაცმა ჩააბარა.

ნიშნოსნების მომზადება ცხაკაიას რაიონში წარმატებით მიმდინარეობს. ამ საქმეს სათავეში უდგანან კომკავშირელი აქტივისტები, რომლებიც ეხმარებიან სოფლის მშრომელებს ნორმატივების დაუფლებაში და ცდილობენ, რომ არც ერთი ადამიანი არ დარჩეს ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთის გარეშე.

ბუნებრივია, ნორმატივების ჩაბარებას სათანადო სპორტული ბაზებიც სჭირდება. ამიტომაც გაჩაღდა შემოქმედებითი შრომა მარტივი მოედნების მოსაწყობად, ტირების ასაშენებლად. ცხაკაიაში შენდება ცენტრალური სასროლეთი, რომელიც მთელს რაიონს მოემსახურება.

## მიღწევები, ამოცანები...

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისთვის ცხაკაიას რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს გადაეცა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელი, თავმჯდომარეს — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს შოთა ჩიქობავას კი ფულადი პრემია.

მის სამუშაო ოთახში რომ შეიხედოთ, გამოფენა გეგონებათ. დიახ, ეს საინტერესო სპორტული გამოფენაა, რომელსაც ამშვენებს სპორტსმენებისა და მწვრთნელებისადმი მიძღვნილი ფოტოსტენდები, მათ მიერ მოპოვებული თასები და ვიმპელები. ეს ყველაფერი ცხაკაიელთა სახელოვან სპორტულ საქმეებზე მოგვითხრობს.

ჩიქობავა ფიზკულტურის ნამდვილი ენთუზიასტია. მას ბევრი ახალგაზრდა უმადლის სპორტულ სარბიელზე გასვლას. მაგრამ ძია შოთა მუდამ ძიებაშია, უნდა მეტი გააკეთოს, აღმოფხვრას ნაკლოვანებები. გასაკეთებელი კი მართლაც ბევრია.

ფოცხოს, ნაქალაქევის, ხორშისა და ზოგიერთი სხვა სოფლის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დღემდე არა აქვთ კეთილმოწყობილი ბაზები, სპორტული ინვენტარი.

რაიონში მოწოდების სიმაღლეზე არ დგას ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა საექიმო შემოწმება, საწარმოო ტანვარჯიში, ჯანმრთელობის ჯგუფების მუშაობა.

პერსპექტიული გეგმის მიხედვით, ცხაკაიაში დაიწყო ფეხბურთის სტადიონის მშენებლობა. აქვე მოეწყობა კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მოჭიდავეთა და ტანმოვარჯიშეთა საწვრთნელი დარბაზები, საექიმო კაბინეტები. წლეულს აქვე აშენდება საცურაო აუზი და დასაბამი მიეცემა ცურვის მასობრივად შესწავლას.

დიდი გეგმები აქვთ ცხაკაიელებს. მათი საქმიანობა იმაზე მეტყველებს, რომ დასახულ ამოცანებს ღირსეულად განახორციელებენ, უკეთესი მაჩვენებლებით გაახარებენ სპორტის გულშემატკივრებს.

**გ. გიგაური.**
(ჩვენი სპეც. კორ.).
ცხაკაია.



# მიეძღვნა XX ოლიმპიურ თამაშებს



თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარდა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება 100 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომასა და ბირთვის კვრაში.

სტარტებზე გამოვიდა ლენინის, ორჯონიკიძის, კალინინისა და პირველი მაისის რაიონების შვიდასამდე წარმომადგენელი.

ორჯონიკიძის რაიონმა გამოიყვანა ცხრა ფიზკულტურული კოლექტივი, ლენინის რაიონმა — შვიდი, კალინინის რაიონმა — ოთხი, პირველი მაისის რაიონმა — ათი.

მონაწილეთა თითქმის ნახევარმა კარგად ჩააბარა ნორმატივები, ზოგიერთმა კი ოქროს სამკერდე ნიშნის მიღების სერიოზული განაცხადი გააკეთა.

იმავე დღეს „ლოკომოტივის" საცურაო აუზში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად მივიდნენ დედაქალაქის ოქტომბრის რაიონის მშრომელები — დაახლოებით ექვსასი კაცი. უმეტესობამ ნორმატივები ჩააბარა.

ლენინისა და ოქტომბრის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეებმა ზ. კუტალაძემ და გ. მეგრელიძემ, ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. შარაშიძემ ცურვაში ოქროზე ჩააბარეს ნორმატივები.

**ა. კოტორაშვილი.**

* * *

სურათებზე: ნორმატივების ჩაბარების მომენტები.
ავტორის ფოტოები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეზონი-72

## სსრ კავშირის პირველობა

### ფეხბურთი... I ლიგა

ქუთაისში ადგილობრივმა ტორპედოელებმა I ლიგის გუნდების გათამაშების ლიდერს — ოდესის „ჩერნომორეცს" უმასპინძლეს. გაიმარჯვა „ტორპედომ" — 2:1.

### II ლიგა III ზონა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 26 | 15 | 8 | 3 | 41—11 | 38 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 25 | 14 | 9 | 2 | 45—20 | 37 |
| „დინამო" (ბათუმი) | 26 | 12 | 10 | 4 | 41—26 | 34 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 26 | 15 | 4 | 7 | 35—27 | 34 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 26 | 11 | 8 | 7 | 37—25 | 30 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდ.) | 26 | 12 | 6 | 8 | 29—23 | 30 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 25 | 11 | 7 | 7 | 35—23 | 29 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 27 | 9 | 10 | 8 | 27—31 | 28 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 26 | 11 | 5 | 10 | 24—21 | 27 |
| „დილა" (გორი) | 27 | 9 | 9 | 9 | 26—25 | 27 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 25 | 10 | 5 | 10 | 32—34 | 25 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 26 | 8 | 7 | 11 | 26—31 | 23 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 25 | 8 | 6 | 11 | 31—31 | 22 |
| „დინამო" (სოხუმი) | 25 | 7 | 8 | 10 | 26—35 | 22 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 26 | 6 | 9 | 11 | 26—36 | 21 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 26 | 7 | 5 | 14 | 29—42 | 19 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 27 | 5 | 8 | 14 | 21—37 | 18 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 27 | 2 | 11 | 14 | 21—38 | 15 |
| „შრ. რეზერვები" (კურსკი) | 27 | 6 | 3 | 18 | 24—60 | 15 |

## „ყაირათის" ტურნე

ფხენიანი, 7 სექტემბერი. კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად მყოფმა ალმა-ათის „ყაირათის" ფეხბურთელთა გუნდმა დღეს აქ პირველი მატჩი გამართა — დედაქალაქის ნაკრები დაამარცხა ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი გოლი მე-10 წუთზე გაიტანა ვ. მარკინმა.

თამაშს 40 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

უნდა აღინიშნოს, რომ მინდორს ბალახის საფარი არ ჰქონდა.

„ყაირათს" კიდევ ორი მატჩი ელის (9 და 11 სექტემბერს) ქვეყნის საკლუბო გუნდებთან.

თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა (უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ელოშვილი) კვლავ გამოიჩინა თავი და უფლება მიიღო ითამაშოს ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში. ჩვენმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს ნახევარფინალური ტურნირი კამენსკ-შახტინსკში.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: გამარჯვებული გუნდი. სხედან — მარცხნიდან — ნ. ჩიკაძე, თ. ჩხაიძე, გ. ივანოვი, ო. გიგოლაშვილი, ვ. კოპალეიშვილი, ლ. მაყაშვილი, რ. შელია; დგანან — მწვრთნელი გ. ელოშვილი, ვ. ჩიჩიაშვილი, მ. ჩიტაური, ზ. გომართელი, ი. ქავთარაძე, ნ. გორდაძე, გ. გიორგობიანი, მწვრთნელი ჯ. თანანაშვილი, რ. მამედოვი, კ. მურლაევი, მ. ჭყუასელი, ვ. შტეფანი; საქართველოსა და უკრაინის გუნდების შეხვედრის მომენტი.



# ორი პრიზიორი თბილისიდან

ამას წინათ რიგაში, მინსკსა და ტალინში გაიმართა ავტომობილისტთა საკავშირო ჩემპიონატი.

რიგაში, ლატვიის სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს სპორტულ ბაზა „ბიკერნიკზე" მედლებისთვის სტანდარტული მანქანებით ასპარეზობდნენ. წინანდელი ჩემპიონატებისგან განსხვავებით, სპორტსმენებს ამჯერად განსაზღვრული მანძილი კი არ უნდა გაევლოთ, არამედ საუკეთესო დროისთვის ებრძოლათ: ჩემპიონი გახდებოდა ის, ვინც 3662-მეტრიან ურთულეს წრეს ორ საათში ყველაზე მეტჯერ შემოივლიდა.

„ვოლგის" კლასის მანქანებით რბოლის სტარტზე 28 მანქანა მოეწყო. მოასპარეზეთა შორის იყვნენ ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორები — სპორტის ოსტატები ი. ივინი (ლენინგრადი), მ. ლოგინოვი (თბილისი), ს. კოლესნიკოვი (მოსკოვი), აგრეთვე, სხვა გამოცდილი მრბოლელები. ლოგინოვს გარდა, ჩვენი რესპუბლიკიდან მედლებისთვის იბრძოდნენ თბილისელები — სპორტის ოსტატი გ. თვაური და სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. მარტიროსიანი.

უშედავათო ბრძოლაში ყველას აჯობა ივინმა, რომელმაც ჩემპიონობა შეინარჩუნა. ვერცხლის მედალი გორკელმა ვ. მოხოლოვმა მოიპოვა. თბილისის ტაქსების მე-3 საწარმოს მოვლენა თვაურმა ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

სსრ კავშირის ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის პრიზიორი, თბილისის ტაქსების მე-4 საწარმოს შოფერი ლოგინოვი ამჯერად VI ადგილს დასჯერდა. მისი თანაგუნდელი, სპორტის ტექნიკურ სახეობებში სსრ კავშირის სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი მარტიროსიანი კი ტექნიკური მიზეზით რბოლას გამოეთიშა.

სპორტული სარბოლო მანქანებით ჩემპიონატი სამ ეტაპად გაიმართა. ოქროს მაძიებლები ჯერ მინსკსა და რიგაში, ბოლოს კი ტალინში ასპარეზობდნენ ევროპაში ცნობილ „პირიტას" ტრასაზე, რომლის სიგრძე 6 კილომეტრია. მანქანები ამ მანძილს საშუალოდ 1,50 წუთში გადიოდნენ, ხოლო ერთ მონაკვეთზე კი მოასპარეზენი საათში 215 კილომეტრ სისწრაფეს ავითარებდნენ.

სარბიელზე ვიხილეთ სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონი ე. გრიფელი, ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონი მ. ლაიჟი (ორივე — ტალინი), პრიზიორები — მოსკოველი ი. ანდრეევი, კრასნოდარელი ვ. გრეკოვი და სხვ.

ზემოაღნიშნული მანქანებით ქვეყნის ჩემპიონატებში თბილისელებს თავი ბევრჯერ უსახელებიათ: ორჯერ ოქროს მედალი მოიპოვეს, რამდენიმეჯერ სხვა საპრიზო ადგილებს დაეპატრონნენ, მაგრამ ბოლო სამი-ოთხი წლის მანძილზე პოზიციები დათმეს, რაც რესპუბლიკაში ტრასის უქონლობამ და სპორტსმენთა უვარჯიშებლობამ გამოიწვია.

და აი, წლეულს თბილისელი ავტომობილისტები ისევ გამოჩნდნენ საკავშირო სარბიელზე. მეორე ფორმულის მანქანებით რბოლაში საკავშირო პირველობათა ორგზის ვერცხლის პრიზიორმა, „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩრდილოეთ-ჩემპიონმა, თბილისის ტაქსების მე-4 საწარმოს შოფერმა, სპორტის ოსტატმა ვ. გლურჯიძემ სამი ეტაპის ჯამში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. მას მხოლოდ მ. ლაიჟმა და დონეცკელმა კ. პოვოროვმა აჯობეს.

საქართველოში ნიჭიერი ავტომობილისტები არიან, საჭიროა მათ წვრთნის ნორმალური პირობები შევუქმნათ. ამიტომ აუცილებელია რუსთავში დროზე მოეწყოს ავტოდრომი. შედეგები, ცხადია, ამაღლდება.

ზ. დგებუაძე,
საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ტალინის ტრასაზე შეჯიბრების მომენტი.

## თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდის წარმატება





## „ინდეპენდიენტე" — „აიაქსი" 1:1

ბუენოს-აირესი, 7 სექტემბერი. საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინის „ინდეპენდიენტე" და ჰოლანდიის „აიაქსი".

ანგარიში თამაშის დასაწყისშივე გაიხსნა: მასპინძელთა კარში ბურთი გაიტანა კრუიფმა. ჰოლანდიელი ფეხბურთელები თითქმის მატჩის ბოლომდე ინარჩუნებდნენ ამ მინიმალურ უპირატესობას, მაგრამ შეხვედრის მიწურულს არგენტინელებმა (სა) საპასუხო ბურთი გაიტანეს — 1:1.

ხერიოზულად დაშავდა კრუიფი.

მატჩს სჯიდა ბაქოელი არბიტრი ტ. ბახრამოვი.

ამ გუნდების საპასუხო მატჩი ამსტერდამში გაიმართება.

## გ ო რ ი ს

ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ფეხბურთელთა პირველობა ორ ჯგუფად ჩატარდა. I ადგილი დაიკავა № 2 საროვე ფაბრიკის გუნდმა, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა. II ადგილზეა სამმართველოს ნაკრები, III — გამომყვანი ფაბრიკის გუნდი.

გ. ზაუტაშვილი,
სპორტის ოსტატი.

## ჩოგბურთი ჩემპიონატის მეოთხედფინალში 19:45

◆ ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის მეოთხედფინალში სსრ კავშირის ჩემპიონი, მოსკოველი ო. მოროზოვა დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამარცხდა ამერიკელ ქ. ევერტთან — 6:3, 3:6, 6:7.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უგ 04606